

პროექტით სწავლების მეთოდის როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში პროექტ-გაკვეთილის მაგალითზე

ელისაბედ ბუსხრიკიძე
პედაგოგიკის ინსტიტუტის დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე პედაგოგიკაში დღეს განსაკუთრებით აქტუალურია და ჩვენს სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეშიც ინტენსიურად ინერგება პროექტის მეთოდით სწავლების პრაქტიკა, რომელიც მიმართულია კონკრეტული ინიციატივის განხორციელებისაკენ ან პრობლემის გადაჭრისკენ და მოსწავლე/მასწავლებლებს კვლევა-ძიებითი მუშაობით შეძენილი მნიშვნელოვანი გამოცდილების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ.

სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება, რომ სასწავლო პროექტი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდია, რომელიც მოსწავლე/მასწავლებელთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებასა და ეფექტურ პროფესიულ თანამშრომლობას გულისხმობს.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ თბილისის კლასიკური გიმნაზიის V კლასში განხორციელებულ კონკრეტულ ინტრდისციპლინურ პროექტ-გაკვეთილს და მის მაგალითზე შევეცდებით დავასაბუთოთ ამ მეთოდის ეფექტიანობა და განვსაზღვროთ მისი მნიშვნელოვანი როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში.

საკვანძო სიტყვები: მეთოდი, გაკვეთილი, პროექტი.

განათლების სფეროზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ძირითადი ცვლილება - საზოგადოების განვითარების ტემპის დაჩქარება. ცვალებადი საზოგადოების თანამედროვე მოითხოვნები განსხვავებულია: საჭიროა არჩევანის გაკეთების უნარის გამომუშავება, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან შერწყმა, რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და ბევრი სხვა ცხოვრებისეული უნარის გამომუშავება.

საზოგადოების დაკვეთამ საგანმანათლებლო სისტემის მიმართ გამოკვეთა ძირითადი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას, არამედ ისეთი მოსწავლის აღზრდას, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს პოზიტიური აზროვნება, დამოუკიდებლად შეუძლია პრობლემების გადაწყვეტა, შეუძლია იდეების გენერირება. შესაბამისად განათლების სპეციალისტების მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება.

სწორედ ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისთვის, ცვლებებისათვის, განუვითაროს მათ ისეთი თვისებები, როგორცაა მობილობა, დინამიზმი და კონსტრუქტიულობა. მსგავსი მომზადება შეუძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ინფორმაციული ცოდნის დაგროვებით. ამისათვის სასწავლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდებს, გამოავლინონ დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, შეძენილი ცოდნის ტრანსფერის, თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, საკუთარი და სხვისი საქმიანობის შეფასებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები.

XX საუკუნის ბოლოდან შემეცნებითი მეცნიერებების მიღწევები სულ უფრო მეტად აისახა შედეგზე ორიენტირებული სასკოლო გაკვეთილის ორგანიზების პრაქტიკასა და მეთოდებზე. საგანმანათლებლო პროცესში თანდათან მკვიდრდება ისეთი სიახლეები, როგორცაა სასწავლო ამოცანების ჯგუფური გადაწყვეტა, სწავლა კეთებით, სოციალური კონსტრუქტივიზმის მიდგომები და სწორედ ამიტომ თანამედროვე პედაგოგიაში დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი გზა - **პროექტის მეთოდით სწავლა**, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იმავდროულად მოახდინონ კავშირის დამყარება ნასწავლ შინაარსსა და მის გამოყენებას შორის. რას ნიშნავს სასწავლო პროექტი და რატომ ირჩევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ სკოლებში მოსწავლე/მასწავლებლები პროექტზე დაფუძნებულ სწავლის მეთოდით მუშაობას?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Learning) დღეს განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პედაგოგიაში და ტერმინი „სასწავლო პროექტი“ ხშირად გვხვდება ეროვნული სასწავლო გეგმასა და პედაგოგიურ ლიტერატურაში. განათლების სფეროში პროექტი, როგორც მეთოდი, XX საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური და დღეისათვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პრაქტიკაში პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ისევე ერთ-ერთ დამხმარე სტრატეგიად განიხილება. თუმცა, თუ აქტუალურ ტენდენციებს მივაღწევთ თვალს, ვნახავთ, რომ მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში დღითიდღე იზრდება.

როგორც ცნობილია, პროექტული მიდგომა გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა მოსწავლეებს შევთავაზოთ გრძელვადიანი სასწავლო საქმიანობა, რომელიც კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოა. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები კვლევა-ძიების გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, ხოლო შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. ამგვარი სწავლისას მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ და ითვისებენ ახალ ცოდნას, ხოლო მასწავლებლის როლი ძირითადად დაიყვანება ხელშემწყობის (ფასილიტატორის) ფუნქციაზე.

სასწავლო პროექტების ორგანიზება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ საგანმანათლებლო სისტემებში იძენს, სადაც საგნობრივი ინტეგრაციის დიდი გამოცდილება არსებობს, რადგან ცალკეული საგნისა თუ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის საგანთა მომცველ ინტერდისციპლინურ პროექტებში მონაწილეობა

მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში ეხმარება. ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდება ტრანსფერისა (ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენების) და სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი. ამიტომ კარგად დაგეგმილი სასწავლო პროექტი პირდაპირ უკავშირდება ამა თუ იმ საგნის საგანმანათლებლო სტანდარტსა და შინაარსს.

სასწავლო პროექტებს, რომლებიც ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში ინერგება, როგორც წესი, უსადაგებენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, რადგან ე.ს.გ.-ის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. ეს კი გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მოსწავლის მიერ შესაბამისი ცოდნის მიღებისა და საგნობრივი კომპეტენციების ამაღლების წინაპირობა უნდა გახდეს.

ზოგადი განათლების სისტემისათვის უმთავრესი, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი - „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ გულისხმობს მოსწავლეთათვის არა მხოლოდ დეკლარაციული ცოდნის გადაცემას, არამედ მოსწავლეთათვის უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამ დოკუმენტის გათვალისწინებით მომზადებული ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ) ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე და მისთვის შესაბამისი ცოდნის მიცემაზე:

- ✓ უნარ – ჩვევები და საბაზო ცოდნა, რომელთაც ჩვენ ვუვითარებთ სკოლაში, უნდა იყოს იმდენად ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს ადამიანს წარმატების მიღწევაში არა ერთ რომელიმე, არამედ ნებისმიერ სფეროში, რომელშიც ის მოღვაწეობს.
- ✓ სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარ – ჩვევები ადამიანს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სამყარო მთლიანობაში აღიქვას. შესაბამისად, საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს.
- ✓ მოვლენების შეაფასება, იქნება ეს ისტორიული, ფიზიკური თუ ესთეტიკური, უნდა მოხდეს მრავალი კუთხით. სასწავლო მასალის მრავალი კუთხით შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია სტერეოტიპების დაძლევისთვის“. **ესგ. 2011წ.**

რამდენადაც ე.ს.გ.-ს საფუძველს შეადგენს პროცენტების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფცია, ამდენად მასში განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები. მოცემულია იმ მიღწევების (უნარ-ჩვევების, ცოდნისა და დამოკიდებულებების) ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს კონკრეტულ საგანში ან/და საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. საგნობრივი პროგრამების სტრუქტურაში ამგვარად ასიახა ეს ორიენტირები:

1. საგნობრივი პროგრამის ზოგადი ნაწილი - განსაზღვრავს საგნის სწავლების მიზანს, ამოცანებსა (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ფასეულობები და დამოკიდებულებები) და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან

გამომდინარეობს. ესენია: კრიტიკული აზროვნება; პრობლემათა გადაჭრის უნარი; თვითგამოხატვის უნარი; შემოქმედებითი აზროვნება; სამოქალაქო ცნობიერება; კომუნიკაციის უნარი; კვლევა-ძიების უნარი; თვითშეფასებისა და საკუთარი საქმიანობის წარმართვის უნარი.

2. სტანდარტი - საგნობრივი პროგრამის ძირითადი ნაწილი: სწავლის მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უნდა წარმოაჩინოს, სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების რეალიზების მიზნით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ; კონკრეტული საფეხურზე თითოეულ საგანში მისაღწევი სასწავლო შედეგები და ინდიკატორები თვალსაჩინოს ხდის რამდენად და როგორ შეიძლება რომელიმე კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევა.

3. შინაარსი - საგნობრივი პროგრამის დასკვნითი ნაწილი: მოიცავს სავალდებულო და სარეკომენდაციო საკითხების ჩამონათვალს (იდებების გამოხატვა, შრომითი საქმიანობა, კომუნიკაცია, რეკომენდებული ვიზუალური მასალა).

სასკოლო განათლების მთავარ მიზანს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, ამიტომ საგნობრივ სტანდარტებში განსაზღვრულია თითოეული კლასის მიხედვით თითოეულ საგანში მისაღწევი სასწავლო შედეგები და ინდიკატორები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის, თუ რამდენად და როგორ შეიძლება რომელიმე კონკრეტული სასწავლო შედეგის მიღწევა.

ე.ს.გ. ორიენტირებულია უკლებლივ ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემული ყველა შედეგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის ამდენად, თითოეულ საფეხურზე კონკრეტული საგნობრივი სტანდარტის მიღწევა გულისხმობს მასში გაერთიანებული შედეგების/ინდიკატორების შესატყვისი სხვადასხვა სირთულის ამოცანების შესრულებას. სხვა საქმეა, რომ ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი ხარისხით მიაღწევს ამ შედეგებს.

ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია შევავსოთ/გავზომოთ დავალების შესრულების ხარისხი დადგენილი კრიტერიუმების ან მოთხოვნების საფუძველზე, დავადგინოთ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების სხვადასხვა ასპექტის (ცოდნა, უნარები და ათვისებული ჩვევები) ობიექტური შეფასების მიზნით შეფასების კრიტერიუმებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ესგ-ს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგები/ინდიკატორები.

მოსწავლეებში უნარების განვითარებისთვის დღეს გვიწევს უაღრესად კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა. სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება, რომ ჩვენს აჩქარებულ დროში მოსწავლემ აუცილებლად უნდა განვივითაროს ახალი ტიპის უნარები. ამ არსებითი უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობა, საბოლოო ჯამში, მოითხოვს მოსწავლეებისაგან არა მხოლოდ საბაზისო უნარების (წერა, კითხვა, თვლა) და სპეციფიკური უნარების გამომუშავებას, არამედ

ისეთი უნარების ფლობასაც, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თვითონ გახდნენ საკუთარი სწავლის მენეჯერები. მათ ხშირად XXI საუკუნის უნარებად მოიხსენიებენ:

- კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- გუნდური მუშაობა, ლიდერობა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და მედია უნარები;
- კვლევა, ინფორმაციის სინთეზი;
- საკუთარი სწავლების მართვა და დროის მენეჯმენტი;
- კარიერის დაგეგმვა და სიახლეებთან ადაპტაცია;

ამიტომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით 2011–2016 წლების ე.ს.გ. გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას (წიგნიერება; მედიაწიგნიერება; ციფრული წიგნიერება; რაოდენობრივი წიგნიერება; ეკოლოგიური წიგნიერება; სემიოტიკური კომპეტენცია; სწავლის სწავლა; მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია; სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია); შესაბამისად საგნების სწავლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს იმ პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის.

კვლევები აჩვენებს, რომ ეს უნარები და კომპეტენციები ვითარდება მაშინ, როცა სწავლისას გამოიყენება რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი. მოსწავლეებში საბაზო უნარ-ჩვევებისა და გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად, აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება და ცოდნის გაერთიანება/გამყარება, საჭიროა საგნის იდეების დაკავშირება სხვა საგნებთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ამიტომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

ე.ს.გ.-ის ძირითადი მიზანია სხვადასხვა საგნით/დისციპლინით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირება. თუკი თითოეული საგანი სპეციფიკურ უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებას უვითარებს მოსწავლეებს, ინტეგრაციის დანიშნულება არის იმ ზოგადი უნარ-ჩვევების გამოკვეთა, რომლებიც ამ საგნებს ერთმანეთთან აახლოვებს. შესაბამისად, ესგ-ში საგნობრივი დისციპლინების სწავლება მათ შორის მჭიდრო ინტეგრაციით არის მოაზრებული, როგორც ინფორმაციული, ასევე ზოგადი უნარ-ჩვევების თვალსაზრისით.

ე.ს.გ.-ის მიხედვით, სწავლა ნიშნავს ინფორმაციის შეძენას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, ხოლო განათლების მთავარი შედეგი სწორედ ისაა, რომ მოამზადოს მოსწავლე, რომელსაც შეუძლია პრობლემების ეფექტურად გამკლავება. პრობლემის გადაჭრის სწავლა, ფაქტობრივად, სწავლის სწავლაა, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას ისწავლოს „სწავლა“, გახადოს საკუთარი ცოდნა უფრო

„ოპერატიული“ და შეასრულოს ჯგუფური დავალებები „რეალური ცხოვრებისეული პრობლემების“ კონტექსტში. სწორედ ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლამ, საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად, მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი.

ე.ს.გ.-ის მთავარ ამოცანას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემოსა და სასწავლო რესურსის შექმნა წარმოადგენს. სასურველი სასწავლო მიზნების მისაღწევად მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას. აგრეთვე უმნიშვნელოვანესია ტრადიციულ სახელმძღვანელოებთან ერთად სხვა ტიპის სასწავლო რესურსის გამოყენებაც. ასეთ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი კი მოითხოვს სწავლა/სწავლების შემდეგი ძირითად პრინციპების დაცვას:

- ცოდნის კონსტრუირება;
- გაღრმავებული სწავლება;
- პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოტივაციის ამაღლება;
- მოსწავლის ჩართულობა;
- ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება;
- ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;

მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას; ამასთან, არ უნდა შემოიფარგლებოდეს რომელიმე კონკრეტული საგნის ჩარჩოთი, ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ინტერდისციპლინურ კავშირებზეც იყოს ორიენტირებული.

პროექტის მეთოდით სწავლა შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდურ აქტივობათა ერთობლიობა - კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას და ამასთანავე, ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე სასწავლო ამოცანის შესრულებას, პრობლემის ინდივიდუალურ ან ჯგუფურ (შეიძლება წყვილებში) გადაჭრას. პედაგოგიურ ლიტერატურაში სასწავლო პროექტის სხვადასხვა სინონიმი გვხვდება: პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პროექტგაკვეთილი და სხვ.

ამჟამად ექსპერტები სასწავლო პროექტებს სხვადასხვა ნიშნით განასხვავებენ: პროექტი შეიძლება იყოს თანამშრომლობითი, თემატური, საგნობრივი, ინტერდისციპლინური, სასკოლო, სათემო, საერთაშორისო და სხვ. პროექტები განსხვავდება ერთმანეთისგან სირთულითაც, რადგან შეიძლება შესრულდეს ერთი საგნის ფარგლებში ან ინტეგრირებულად (რამდენიმე საგნის ფარგლებში), შეიძლება

იყოს კვლევითი, შემეცნებითი, გამოყენებითი, შემოქმედებითი და სხვ. პროექტების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად პროექტებიც უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი ხდება.

სასწავლო პროექტის ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და თემატიკა მრავალფეროვანია. შესაძლებელია, მოსწავლემ პროექტი ინდივიდუალურად შეადგინოს და განახორციელოს, მაგრამ უფრო ნაყოფიერი და წარმატებულია ჯგუფური სამუშაო. პროექტის საკითხებს მოსწავლეები შედარებით ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. ამასთანავე უმნიშველოვანესია პროექტის თემატიკის აქტუალობა და იგი შესაძლოა:

1. ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრა ერთი საგნის დისციპლინარული ცოდნით შემოიფარგლება, ანდა დისციპლინათაშორისი გამოცდილების გამთლიანებას ემსახურება.
2. სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის მეთოდით სწავლების საფუძვლები დევს ჯ. დიუის პრინციპში „სწავლა კეთებით და გამოცდილების მიღებით“. ამ მოდელით, პრობლემების გადაჭრის პროცესში მოსწავლე იძენს ახალ ცოდნას. ამასთან, მას უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება პრობლემის გადაჭრის, აზროვნების, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, ინფორმაციის შეძენის და გაზიარების მიმართ.

პროექტ-გაკვეთილი (Project-based Lesson) საშუალებას გვამძლევს გაკვეთილის/გაკვეთილების ფარგლებში შევთავაზოთ მოსწავლეებს ინტერაქციაზე ორიენტირებული სასწავლო საქმიანობა, რომელიც კონკრეტული პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოა. ამასთან, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას; დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეთა მოთხოვნილებებს, მიდრეკილებებსა და ინტერესებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ასაკობრივ მზაობასა და ამ მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენებას.

პროექტ-გაკვეთილი წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მონაწილეობენ პრობლემის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ. მეთოდის ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს:

- **უწყვეტობა** - პედაგოგებისა და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა დისციპლინარული განათლების და შემოქმედებითი სწავლების გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი;
- **ინტეგრირება** - მოსწავლეთა სასწავლო და კვლევით აქტივობების შეკავშირება და ურთიერგავლენა, როდესაც შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების

განხორციელების დროს შეძენილი გამოცდილება და უნარები გამოიყენება საკლასო/საგაკვეთილო გარემოში და განაპირობებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაზრდას.

- **ინტერდისციპლინური სწავლება** – ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა–გამოიყენება, რაც მოითხოვს საგანის/დისციპლინების სისტემურ, ფართო და ღრმა ცოდნას, კვლევითი ნაშრომის შექმნის პროფესიული უნარების სრულყოფას.

ამ მეთოდს აქვს ყველა ის მახასიათებელი, რაც უნდა ჰქონდეს ნებისმიერ პროექტს: გამოკვეთილი მიზანი, დროში გაწერილი აქტივობები და ეტაპები (დაგეგმვა, კვლევა, პრაქტიკული ქმედები და შედეგების წარმოდგენა არჩეული საკითხის შესაბამისად), შედეგები, პროექტში ჩართულ პირებს შორის პასუხისმგებლობისა და ამოცანების გადანაწილება და სხვ. ამიტომ პროექტ-გაკვეთილის ორგანიზებისთვის უნდა განისაზღვროს:

- ✓ პრობლემა (პრობლემის აქტუალურობა);
- ✓ მკაფიო და მიღწევადი მიზანი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული;
- ✓ კონკრეტული ამოცანები – ამ მიზნის განხორციელების გზები;
- ✓ თითოეული ამოცანის შესატყვისი კონკრეტული საქმიანობები, (სამუშაო გეგმა)
- ✓ მოსალოდნელი შედეგები;
- ✓ რესურსები, რომლებიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად;
- ✓ მონიტორინგის საშუალები და პროექტის განხორციელებაზე მეთვალყურე-ობის მექანიზმი;
- ✓ შეფასება კრიტერიუმების/მაჩვენებლების მითითებით, რომლებიც განსაზღვრავენ პროექტის წარმატებას;

პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი (მაგ. წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ისცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.) და სრულყოფილად დოკუმენტირებული.

თანამედროვე განათლების სისტემაში აუცილებელია კვლევით საქმიანობაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის და სასწავლო პროექტის კომპონენტის სასწავლო პროცესთან ინტეგრირება და ორგანიზება, რადგან მისი არსი საკვლევად შერჩეულ საკითხებისადმი მოსწავლეთა ინტერესისა და სწავლის მოტივაციის სტიმულირებაა და გულისხმობს მოსწავლის მიერ გარკვეული ცოდნის ფლობითა და სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების საშუალებით პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფას, საკუთარი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით პროექტის გამოყენება პედაგოგების მიერ უნდა ხდებოდეს მიღწეული შედეგების გასაზრებლად: ყველა ეტაპზე მიმდინარე და შემაჯამებელი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას.

შეკითხვა: როგორ დავგეგმოთ სასწავლო პროექტი იმგვარად, რომ მან ნამდვილ შემეცნებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას შეუწყოს ხელი?

პროექტ-გაკვეთილი „იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო...“

პროექტის ავტორები: თბილისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგები ელისაბედ ბუსხრიკიძე და ნინო ბერაძე;

პროექტის მონაწილეები: თბილისის კლასიკური გიმნაზიის V⁶ კლასის მოსწავლეები; პედაგოგები: ე. ბუსხრიკიძე (ისტორია), ნ. ბერაძე (ქართული ენა და ლიტერატურა), მ. კუნჭულია (მუსიკა) და მ. მიგინეიშვილი (ICT მენეჯერი).

V კლასის კურიკულუმის თემატური საკითხები (ხალხური ტრადიციული შრომა-საქმიანობის გაცნობა/დახასიათება - ჩვენი საქართველო; ფოლკლორის კონკრეტული ჟანრების გაცნობა/დახასიათება - ქართული ენა და ლიტ./მუსიკა; ლექსიკური მარაგის გამდიდრება - ქართული ენა და ლიტ.) მოითხოვს ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას, რისი ეფექტურად განხორციელება ერთი დისციპლინის ფარგლებში საკმაოდ რთულია. პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო იყო დისციპლინათშორისი გამოცდილების გამთლიანება - ერთი და იგივე საკითხი მრავალი კუთხით უნდა დანახულიყო.

პროექტის თემატიკა „ქართული ყოფითი ფოლკლორი“ შეირჩა და განისაზღვრა ძირითადად ჩვენი საქართველოს სასწავლო კურსის საპროგრამო მასალის მიხედვით, რადგან სახელმძღვანელოში მთელი თავი ეძღვნება ხალხურ ტრადიციულ შრომა-საქმიანობასთან (დარგები/იარაღები; წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი) დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალის შესწავლას. ამასთანავე ფოლკლორული ჟანრის მასალის შესწავლა გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის და მუსიკის საგნობრივი პროგრამებით.

წარმოდგენილი მასალა იძლეოდა კარგ საშუალებას, ინტეგრირებული გაკვეთილების ორგანიზების შემთხვევაში, განხორციელებულიყო მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფდა მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. რადგან სხვადასხვა დისციპლინით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია, დავგეგმეთ ინტერდისციპლინური პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში ჩვენი საქართველოს, ქართული ენისა და ლიტერატურისა და მუსიკის დისციპლინების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე მოხდებოდა მოსწავლეთა კვლევითი აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა დისციპლინის თემატური საკითხების/რესურსებისა და ICT-ის გამოყენებით.

შევარჩიეთ პროექტმეთოდის ტიპი - პროექტგაკვეთილი (მცირე პროექტი - ხანგრძლივობა 3 გაკვეთილი - 2 სთ.). მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით (მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადოდ განვითარებული პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვა/ორგანიზების უნარ-ჩვევები) პროექტის იდეა ინიცირებული იქნა ჩვენს მიერ, ჩვენ თავად განვსაზღვრეთ პრობლემა, დავსახეთ მისი გადაჭრის სტრატეგია/ტაქტიკა და მოსწავლეებს შევთვავეთ მზა პროექტი. სხვადასხვა

ტიპის წყაროებზე კვლევითი მუშაობით მოსწავლეებს დამოუკიდებლად უნდა გადაეჭრათ პრობლემები. ჩვენს შემთხვევაში გამოიკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:

1. პროგრამული მასალის სირთულე: სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული რთული ტექსტების შესწავლა. სირთულეს ქმნიდა არქაული და სასოფლო შრომა-საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიით დატვირთული ტექსტების გაგება და ანალიზი. ხალხური ტრადიციული შრომა-საქმიანობის გაცნობა/დახასიათება გართულებულია თანამედროვე პრაქტიკაში ზოგიერთი ტიპის საქმიანობის/იარაღის/ტრადიციის არარსებობით, ამასთანავე ქალაქელ ბავშვებს ამ საკითხების გაგება/აღქმა განსაკუთრებით ურთულდებათ.

2. პროგრამული მასალის თანხვედრის აუცილებლობა: ქართულ ლიტერატურის, ჩვენი საქართველოსა და მუსიკის დიციპლინების თემატური საკითხების „პროგრამული აცდენა“-კონკრეტული სახელმძღვანელოები არ არის შედგენილი ინტერდისციპლინური პრინციპით, მომიჯნავე საკითხები აცდენილია არა მხოლოდ დროში, არამედ შინაარსობრივადაც და არ იძლევა მასალის სხვადასხვა ჭრილში სრულფასოვნად განხილვის საშუალებას, რაც ხელს უშლის ცოდნის ტრანსფერის წარმატებულად განხორციელებს.

3. ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევების/კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა: თვითორგანიზაციისა და თვითპასუხისმგებლობის უნარების განვითარება (როგორც საკუთარი, ასევე პროექტის მონაწილეთა საქმიანობის შეფასებაზე, კვლევის უნარების გამომუშავებაზე) და ამასთანავე მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და კოლექტიური თანამშრომლობის აუცილებლობა: კონკრეტულ კლასთან მუშაობამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს უჭირდათ თანამშრომლობა – კოლაბორაციული ინტერაქცია.

პროექტი, როგორც მრავალფუნქციური მეთოდი ავალდებულებს პროექტის ავტორს, დეტალურად გაწეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო. შესაბამისად განვსაზღვრეთ პროექტის მიზნები და მოსაღწევი შედეგები:

- 1. მიზანი:** რთული თემატური/პროგრამული საკითხების ადაპტირება და სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება. **შედეგი:** მოსწავლეთა მიერ გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების დაუფლება და ზოგადი/სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარება,
- 2. მიზანი:** რთული თემატური/პროგრამული საკითხები, ახალი მასალა და ცნებები მოსწავლეებმა აითვისონ პორბლემის გადაჭრის პროცესში **შედეგი:** მოსწავლეები შეძლებდნენ საგნობრივ/თემატური ინფორმაციის გაგება-ათვისებას: ხალხური ტრადიციული შრომა-საქმიანობის (დარგები/იარაღები/წეს-ჩვეულებები) გაცნობა-დახასიათებას; ფოლკლორის კონკრეტული ლიტერატურული/მუსიკალური ჟანრების გაცნობა-დახასიათებას; ლექსიკური მარაგის გამდიდრებას;
- 3. მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენება. **შედეგი:** მოსწავლეთა მიერ ესგ.- შედეგების მიღწევა და აკადემიური კრიტერიუმებით - ინდიკატორებით მათი შეფასება.

4. **მიზანი:** ინტერდისციპლინური პროექტის განხორციელებით სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება; **შედეგი:** დისციპლინათაშორისი ცოდნისა და გამოცდილების გამთლიანება;
5. **მიზანი:** ცოდნის ტრანსფერი **შედეგი:** ერთ საგანში შეძენილი ცოდნა/გამოცდილების სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა/გამოყენება.

პროექტის განხორციელებისათვის დავეგემეთ ინტეგრირებული გაკვეთილების სერია, სადაც პერმანენტულად ერთმანეთს ჩაენაცვლებოდა მუსიკის, ჩვენი საქართველოსა და ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები. გაერთიანდა რამდენიმე დისციპლინის (ისტორია, მუსიკა, ქართული ლიტერატურა, ბუნება, ხელოვნება და ICT) თემატური საკითხები/რესურსები; პედაგოგებმა ერთობლივად შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დავისახეთ აუცილებელი ამოცანები:

1. გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა;
2. სასწავლო რესურსების შერჩევა/მოხილიზება;
3. სასწავლო მეთოდებისა და აქტივობების შერჩევა;
4. პროექტის შეფასება-თვითშეფასების მექანიზმების შერჩევა/შემუშავება;
5. პროექტის განხორციელება;
6. პროექტის შედეგების დოკუმენტირება.

აქტიურ სწავლასა და სიღრმისეულ აზროვნებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში გაკვეთილის/სასწავლო პეოექტის მსვლელობის ერთგვარი უნივერსალური ჩარჩოა სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელი. იგი ეფექტური სასწავლო პროცესის ძირითად საფეხურებს მოიცავს და მათ თანმიმდევრულ განხორციელებას გულისხმობს. ჩვენი პროექტის შემთხვევაში, თითოეული გაკვეთილი დაიგეგმა სამფაზიანი გაკვეთილის მოდელის მიხედვით, თუმცა თანმიმდევრულად ჩატარებული სამი გაკვეთილიდან თითოეული თავისთავად წარმოადგენდა სამფაზიანი მოდელის კონკრეტულ ფაზას:

I პროვოცირების ფაზა - ინტეგრირებული გაკვეთილი (ჩვენი საქართველო /მუსიკა/ ICT-ი)

II კვლევა-ძიებითი ფაზა - ინტეგრირებული გაკვეთილი (ჩვენი საქართველო/ბუნება/ქართული ენა და ლიტ./ხელოვნება)

III რეფლექსიის ფაზა - ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული ენა და ლიტ./ჩვენი საქართველო/მუსიკა)

სამუშაო პროცესის ჩასატარებლად შეირჩა ინფორმატიკის კაბინეტი (I გაკვეთილი), ბიბლიოთეკა (II გაკვეთილი) და საკლასო ოთახი (III გაკვეთილი). სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად შევარჩიეთ და ორგანიზება გავუკეთეთ სასწავლო რესურსებს ქართული ენისა და ლიტ., ჩვენი საქართველოს, ბუნების, მუსიკის, ხელოვნების დისციპლინების თემატურ საკითხებზე. მოხილიზება გავუკეთეთ ტექნიკურ რესურსებსაც.

პეოექტ-გაკვეთილის ფორმატში კონსტრუქტივისტული სასწავლო პროცესის-სამუშაოს ორგანიზებისათვის შევარჩიეთ მოსწავლე/მასწავლებელთა

ინდივიდუალური, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ფორმები და დასახული მიზნების შესაბამისი სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: გონებრივი იერიში; კოგნიტური სქემები; სოკრატული მეთოდი; ე.წ. "ხარაჩოს" მეთოდი - მიმანიიშნებელი შეკითხვების დასმა; მინილექცია; მუშაობა ვიდეო/აუდიო მასალაზე; წერილობით წყაროებზე მუშაობა; თვალსაჩინოებებზე მუშაობა; კეთებით სწავლა; მინიპრეზენტაციების მომზადება/წარდგენა;

პროექტის მიმდინარეობის პარალელურად ორგანიზატორები ვახდენდით პროექტის მონაწილე მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მუშაობის შეფასებას და ვახორციელებდით პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) დროს ვაფასებდით როგორი წარმატებით მიმდინარეობდა პროექტი, რაც დაგვეხმარა დაგვენახა მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები. შევძელით მათი გამოსწორება და დასახული ამოცანების ადაპტირება, ამან კი ხელი შეუწყო პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღებას.

პროექტი რამდენიმე დისციპლინის სფეროს მოიცავდა, ამიტომ პროექტში მონაწილე პედაგოგებმა მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ათვისებული ჩვევების ობიექტური შეფასება სხვადასხვა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების აკადემიური კრიტერიუმებით მოვახდინეთ.

შესრულებული სამუშაოს, მოსწავლეთა მიღწევების სხვადასხვა ასპექტისა და შედეგების შეფასების კრიტერიუმებად გამოვიყენეთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები, რადგან შედეგების/ინდიკატორების შესატყვისი სხვადასხვა სირთულის ამოცანების შესრულება კონკრეტული საგნობრივი სტანდარტის მიზნების მიღწევას გულისხმობს.

ჩატარებული პროექტ-გაკვეთილის საბოლოო შედეგების შეჯამების შედეგად უნდა აღინიშნოს შემდეგი: დასახული მიზნები/ამოცანები წარმატებით განხორციელდა და პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე მოსწავლეებმა წარმატებით შეძლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული V კლასის საგნობრივი სტანდარტების შემდეგი შედეგების მიღწევა:

ჩვენი საქართველო მიმართულება: დრო და სივრცე - საზ. მეც.V-VI. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება: ადარებს სხვადასხვა საშუალებით გადმოცემულ ინფორმაციას რაიმე ნიშნით; ახდენს სხვადასხვა საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიცირებას; ერთი ტიპის საშუალებით მოცემულ ინფორმაციას აჯგუფებს ერთი ან ორი ნიშნის მიხედვით; ისტორიულ ან გეოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებით.

მიმართულება: გარემო და ეკონომიკა - საზ. მეც.V-VI.12. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მხარე ბუნებრივი რესურსების მიხედვით და იმსჯელოს მათ მნიშვნელობაზე: ირჩევს რომელიმე ბუნებრივ რესურსს და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე რეგიონის განვითარებისთვის; ბუნებრივ რესურსებს აკავშირებს ქვეყნის/რეგიონის სამეურნეო საქმიანობასთან. **საზ. მეც.V-VI.13.** მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე:

გამოსახავს რესურსების სახეცვლილებას მოპოვებიდან მოხმარებამდე (მაგ. ხორბალი-ფქვილი-პურ-ფუნთუშეულობა);

ხელოვნება მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში - ს.გ.V.10. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები სტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან. ს.გ.V.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.

ქართული ენა და ლიტ. მიმართულება: **ზეპირმეტყველება** - ქართ.V.1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი: ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებსა და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს); სვამს კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად/ ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად; გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ;

ქართ.V.2. მოსწავლეს შეუძლია **ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება**: ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად დაამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს გააცნობს და შეუტანხმებს ჯგუფის წევრებს; გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასისი მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;

მიმართულება: კითხვა - ქართ.V.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადექვატურად გაგება-განალიზება: საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს; ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას. ქართ.V.9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი: ასახელებს ნაწარმოების თემას; ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;

მუსიკა მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია - მუს.V.6. მოსწავლე ორგანიზებას უწევს სასწავლო საქმიანობას: ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას; აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; სვამს კითხვებს; მონაწილეობს გამოკითხვაში. მუს.V.7. მოსწავლე თანამშრომლობს სხვებთან: მუშაობს სხვებთან ერთად პრობლემის გადასაჭრელად; საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას და ეხმარება სხვებს; ანაწილებს სამუშაო ფუნქციებს და მოვალეობებს. მუს.V.9. მოსწავლე უსმენს და აფასებს მუსიკალურ ნაწარმოებს: გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად, ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას; მუსიკის მოსმენის, სიმღერის დროს გამოარჩევს ნაცნობ მუსიკალურ ელემენტებს და ახასიათებს მათ; იყენებს მუსიკალურ ტერმინებს საუბრის დროს.

ის ტექნოლოგიები მიმართულება: კვლევა და კომუნიკაცია - ის ტექნ V.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში: ციფრული მასალის სხვადასხვა ფორმატის მქონე საცავებში ძიებისას, შეარჩევს და იყენებს შესაბამის ციფრულ საშუალებებს; ინფორმაციისა და ციფრული მასალის ძიებისას იყენებს გავრცელებულ საძიებო სისტემებს; ახენს მოძიებული ციფრული მასალისა და ინფორმაციის

ინტერპრეტაციას და აფასებს ამ მასალას იმის მიხედვით, თუ რამდენად სასარგებლო, სანდო, ადეკვატური და ზუსტია იგი;

საბოლოო ჯამში, ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ პროექტით სწავლება მოსწავლეს უვითარებს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს (ჩვენს შემთხვევაში გამოვყოფდით სწავლის უნარს; კვლევას, შემოქმედებითი უნარს; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარს; სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტის წაკითხვა/ანალიზის უნარს; ტექსტის/მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისა და ინტერპრეტირების უნარს; ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების უნარს) და რაც უმთავრესია, ავითარებს მოსწავლის ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებს (ბლუმის მიხედვით – ანალიზი, სინთეზი და შეფასება), კრიტიკული აზროვნების და სამეცნიერო აზროვნების უნარ-ჩვევებს;

დასკვნა

სამასწავლებლო პრაქტიკაში საგანმანათლებლო პროექტების გამოყენება კარგი საშუალებაა მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების წარმოსაჩენად და განსავითარებლად, რადგან პროექტზე მუშაობა მოსწავლეს უვითარებს მიღებული ცოდნის და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს, რაც მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში, საბოლოოდ კი, მათ სასწავლო შედეგებზეც აისახება.

პროექტით სწავლების ტექნოლოგიის შემუშავება და გამოყენება უშუალოდ უკავშირდება ეფექტური სწავლების პრობლემის გადაწყვეტას. რადგან დაკავშირებულია კვლევა-ძიებასთან. პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა კვლევის ფოკუსში ექცევა, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით, არამედ სხვადასხვა საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს და მოითხოვს ამ საგნების მასწავლებელთა ეფექტურ პროფესიულ თანამშრომლობას, პროექტის ერთობლივ ფასილიტაციას. შესაბამისად, ითვალისწინებს დავალებების შესრულებას, რაც დროშია განფენილი. მოსწავლე/მოსწავლეები სათანადო, უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფიქრობენ მათზე, ვიდრე არ გადაწყვეტენ/არ შეასრულებენ. სწორედ ამ დაუსრულებლობის შესაბამისად ხდება მყარი, ფუნქციური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან მოსწავლეები ახალ ცოდნას იძენენ გამიზნულად: სწავლობენ დროის მართვას, ამოცანაზე კონცენტრირებას, ინფორმაციის მოპოვება-ორგანიზებას, თვალსაჩინოებების გამოყენება/შექმნას, ანგარიშის მომზადებას და შეფასებას, რაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია როგორც აკადემიური და სასწავლო, ასევე ყოფითი კულტურის გამომუშავებისათვის.

გუნდური მუშაობა მოსწავლეების პროდუქტულობის წინაპირობაა და ამის შედეგად მოსწავლეებს უვითარებდებათ კომუნიკაციისა და სოციალური, ჯგუფური თუ გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები და კომპეტენციები

(ორგანიზების კომპეტენცია; პროდუქტის შექმნის კომპეტენცია; პრეზენტაციის კომპეტენცია; თვითშეფასების კომპეტენცია);

თუ XXI საუკუნის უნარებზე შევაჩერებთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ეს მოდელი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათმორისი გამოცდილებების გამთლიანებას. მოსწავლეს აძლევს არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის შერწყმის და კონკრეტულ საგანში მსჯელობის უნარ-ჩვევებს; აძლევს უნარს, დაინახოს მოვლენები მრავალმხრივ და უფრო ღრმა პერსპექტივით; იძლევა თეორიის და პრაქტიკის გამთლიანების შესაძლებლობას.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის სწავლის/სწავლების მოტივაციას და ამ მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია სწავლების ამ მეთოდის დანერგვა/ადაპტირება ქართულ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბოჭორიშვილი; როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი - გზამკვლევი მასწავლებლებს;
http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=174
2. მ. ბოჭორიშვილი - ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები;
<http://mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=730>
3. ს. ლობჯანიძე; როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი ;
4. http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobianize_2.pdf
5. ნინიძე ქ.; „პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები“, ჟურნალი მასწავლებელი N 5 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა : 46-59;
6. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის 2011-2016;
7. ჩვენი საქართველო - საგნობრივი პროგრამის გზამკვლევი მასწავლებელთათვის; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი; თბილისი 2011;
8. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო გარემოში - მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგის პროგრამა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; თბილისი 2009;
9. გახელაძე გ., ლობჯანიძე ს., რატინი მ., მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; თბილისი 2011;

Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.

Materials

10. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი 2007;
11. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; *სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების სახელმძღვანელო ცნობარი*, თბილისი 2009;
12. სურგულაძე მ., მინდაძე ნ.; ნეიძე ვ.; ხარაძე კ.; *ჩვენი საქართველო V კლასი, მოსწავლის წიგნი*; შპს „ლოგოს პრესი“ 2011;
13. Gloria J. Edwards; *Make Your Own Project-Based Lesson Plan Develop an educational project that includes a specific outcome while teaching academic skills*, Special funding provided by the U.S. Department of Education, Star Schools.; Mountain Plains Distance Learning Partnership 2002;
<http://www.coloradoadulthood.org/SS%20Lessons%20for%20Adult%20Learners/Curriculum%20Topics/lesstemplate.pdf>